პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მეომარი

1923
ოქტომბერი
23
სამშაბათი
შესან. მოციქულთა დღიური
მზე ამ. 5 ს. 13 წ. მზე ჩას. 7 ს. 18 წ.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური
ფასი 4 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 379 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 200,000 მანეთი. № 379

საბჭოთა კავშირი და ანტანტას ფინიები.

„გერმანიას მხოლოდ სასწაული ააცდენს რევოლიუციასო, განაცხადა ამსტერდამის პროფინტერნის მღივანმა ფიმენმა.

„გერმანიის რევოლიუცია მთელი ევროპის რევოლიუციის დასაწყისი იქნებაო'', ლაპარაკობს თვით ლლოიდ-ჯორჯი. და უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ეს განცხადება სოციალისტ ფიმენის და ბურჟუა ლლოიდ ჯორჯის სამართლეს შეეფერება. გერმანიის რევოლიუცია მომხდარი ფაქტია. ბრძოლა უკვე დაიწყო, ბრძოლა გადამწყვეტი, სამკვდრო სასიცოცხლო.

მსოფლიო იმპერიალიზმი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება გერმანიის რევოლიუციას. მან ძალიან კარგად იცის, რომ გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვება - ბურჟუაზიის დასამარებაა. ამისათვის მსოფლიო გაცოფებული ბურჟუაზია უკვე ამოქმედდა. ის ემზადება გერმანიის რევოლიუციის დასახრჩობათ. იმპერიალისტებმა ისიც კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირი ერთგული დამხმარე იქნება გერმანიის პროლეტარიატის, მაშასადამე საჭიროა ბრძოლა არა მარტო გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც. უკანასკნელ შემთხვევისათვის ე. ი. საბჭოთა რესპუბლიკებისათვის შესასვლელად ანტანტას ყავს გამზადებული ერთგული ფინიები: პოლონეთი, ფინეთი, ლატვია, ესტონეთი, ჩეხოსლოვაკია.

პოლონეთი შეურიგებელი და დაუძინებელი მტერია საბჭოთა რესპუბლიკების. მან ბევრჯერ სცადა საბჭოთა ხელისუფლებასთან „თამაში," მაგრამ ს. მთავრობის მშვიდობიანობამ აიძულა ის უკან დაეხია და თავის ქერქში ჩატეულიყო. უკანასკნელად კი პოლონეთის ჟანდარმებმა განგმირეს ტყვიით საბჭოთა წარმომადგენლის გული. პოლონეთის ბურჟუაზიის საქმე, ერთობ ცუდათ არის. შინ ეკონომიურ-ფინანსიური კრახი, პროლეტარიატის გაფიცვების ძლიერი ტალღა საერთოდ მეტად მძიმე, აუტანელი მდგომარეობაში იმყოფება პოლონეთის ბურჟუაზია. გარეთ კი საბჭოთა რესპუბლიკების მტკიცე კავშირი ერთის მხრივ და გერმანიის რევოლიუცია მეორე მხრივ. ასეთი მდგომარეობა მოსვენებას არ აძლევს მას და ის მიდის ახალ ავანტიურის გზაზე. აპირებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმას, გერმანიის რევოლიუციაზე გალაშქრებას.

პოლონეთს თან მიყვება ფინეთი. თეთრგვარდიელები უკვე სამზადისს შეუდგენ. გააძლიერეს ტერორი კომუნისტურ პარტიის და მუშების წინააღმდეგ. რამოდენიმე დღის უკან ფინეთის საზღვრებიდან გადმოსულმა ბანდიტებმა მოკლეს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები. არც ფინეთის ბურჟუაზიის მდგომარეობაა სანუკვეშო. საბჭოთა კავშირის ძლიერება და გერმანიის რევოლიუცია არც მას უქადის კარგ მომავალს.

პოლონეთის და ფინეთის გარდა საბჭოთა კავშირს მეზობლად ყავს საფრანგეთის იმპერიალიზმის დამქაშები, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია. ესენიც თადარიგის მზადებას შეუდგენ. გაატრებული ბრძოლა კომ. პარტიის და მუშების წინააღმდეგ—აი რა სურათია დღეს აღნიშნულ სახელმწიფოებში.

ჩეხო-სლოვაკია უკვე ჯარებს აგროვებს საქსონიის საზღვრებზე და ყოველ წუთს. შეიძლება შეიჭრეს წითელ საქსონიაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს ე. ი. თუ იქ ბრძოლა დაიწყება პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის.

გერმანიის რევოლიუციამ შეაშფოთა მსოფლიო ბურჟუზია. იქ გრძნობს თავის აღსასრულის მოახლოებას და ახალ ომებისათვის ემზადება. საბჭოთა რესპუბლიკების მტრები ამოქმედდენ. მსოფლიო ბურჟუაზია ემზადება საბჭოთა რესპუბლიკებზე გამოსალაშქრებლად. საფრანგეთი, ინგლისი, ჩეხო-სლოვაკია, პოლონეთი გერმანიის პროლეტარიატის სისხლში დახრჩობას ცდილობს, ანტანტას ფინიები კი პოლონეთი, ფინეთი და სხ. საბჭოთა რესპუბლიკებს ემუქრებიან.

საბჭოთა კავშირს სურს მშვიდობიანობა. საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მეურნეობის აღორძინებას და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგენ. მაგრამ თუ გაბედა თავხედმა ბურჟუაზიამ ჩვენზე თავდასხმა ღირსეულ პასუხს მიიღებენ.

იაპონიის ახალი უბედურება.

სექტემბრის პირველ რიცხვებში იაპონიის კატასტროფამ, რომელიც გამოიწვია უსაშინელესმა მიწის ძვრამ მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო და იაპონიის დასახმარებლად ყველანი აღოქმდდენ.

იაპონიის სტიქიურმა უბედურებამ მიაყენა აურაცხელი ზარალი. მილიონები გახდა მსხვერპლი მიწის ძვრის; მილიონები უბინაოდ დარჩენ მშიერ მწყურვალნი. უმთავრესად, როგორც მოსალოდნელი იყო ეს უბედურება თავს დაატყდა მუშათა კლასს. მდიდრები კიდევ შესძლებენ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას, მუშები კი განიცდიან მთელ საშინელებას მიწის ძვრის მიერ გამოწვეულს. ამიტომაც საბჭოთა კავშირმა გაუწოდა ძმური დახმარების ხელი იაპონიის მშრომელებს. ეს სრულიად ბუნებრივია. აბა ვინ იზრუნებს სხვა თუ არა საბჭოთა რესპუბლიკების მუშები სათვის უბედურების ცილებისათვის.

იაპონიის ბურჟუაზია კი, კიდევ უფრო გაამხეცა ქვეყნის უბედურებამ და მან მიწის ძვრა გამოიყენა მუშათა კლასის დასამონავებლად და მუშათა კლასის ბელადებზე ჟინის საყრელად. მასიური დახვრეტა მუშების, ვერაგული მკვლელობა სოციალისტების და კომუნისტების—აი რა სურათს ვხედავთ დღეს იაპონიაში.

იაპონიის ბურჟუაზიის მხეცური მოქმედების შესახებ ჩვენ ამას წინათაც გვქონდა ლაპარაკი. ეხლა გვინდა აღვნიშნოთ ის ახალი, კიდევ სტიქიური უბედურება, რომელიც თავს დაატყდა იაპონიას.

ზღვა გადავიდა ნაპირებიდან და წყალმა მორეცხა იაპონიის განაპირა ქალაქების მთელი რიგი. ტაიფუნმა (ნაპირიდან გადასული წყლის ნაკადი) გაანადგურა მრავალი ქალაქები. მდინარეები ადიდდენ რამოდენიმე საჟენით და წალეკეს ყველაფერი, განადგურებულია პურის და სხვა სურსათ-სანოვაგის მარაგი. აუარებელი გვირაბები დაინგრა, რკინის გზა მოიშალა. იოკოგამაში მიწის ძვრა დაიწყო ისევ. ნიადაგმა სამი საჟენით დაიწია.

ურჩმა ბუნებამ არ აკმარა იაპონიას მიწის ძვრა და ეხლა ის წყლით ანადგურებს იაპონიას. მიწის ძვრით და ტაიფუნის მოქმედებით გამოწვეული ზარალი აურაცხელია. მთავრობის ცნობით ზარალი უდრის 11 ნახ. მილიარდ იენს, რომელიც უდრის იაპონიის ნაციონალურ ქონების ერთ მერვედს. ეს ცნობა არაა სრული და თუ დაუჯერებთ იაპონიის მცოდნე პირებს, იაპონის ზარალი უდრის ნაციონალურ სიმდიდრის ერთ მეოთხედს.

როგორც ვხედავთ იაპონიის მთელი ქონების მეოთხედი თუ ცოტა ხალხები შთანთქა ცეცხლმა და წყალმა. იაპონია განადგურდა და მისი მრავალი მდიდარი ქალაქები ნანგრევებათ იქცა.

იაპონიის ბურჟუაზია კიდევ გამოიყენებს ახალ უბედურებას მუშათა კლასის წინააღმდეგ. ამისათვის მთელი ქვეყნის მუშათა კლასმა და პირველ რიგში კი საბჭოთა კავშირის მშრომელებმა დიდი მატერიალური დახმარება უნდა გაუწიონ იაპონიის მუშათა კლასს.

ხ.

დეპეშები.

— მწვავე ფინანსური კრიზისის გამო გერმანიის პროფკავშირები საგრძნობლად ამცირებენ შტატებს.

— ბერლინში პურის ფასმა საგრძნობლად აიწია. სიძვირის ნიადაგზე ბევრ ალაგას დაამტვრიეს ბულკებით სავაჭროები.

— პოლონეთში დაიწყო სასოფლო სამეურნეო მუშათა გაფიცვები.

— იაპონიის მთავრობა აძლიერებს პოლიციის შეიარაღებას.

— ბერლინის თავისუფალ ორგანიზაციების პროფკავშირები გაფიცვებით იმუქრებიან თუ ცენტრალური მთავრობა გაილაშქრებს საქსონიაზე და ტიურინგიაზე.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

ბრძოლა მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის.

ბერლინის თავისუფალ პროფკავშირთა ორგანიზაციებმა გამოიტანეს რეზოლიუცია გაფიცვების სასწრაფოდ გამოცხადების შესახებ, თუ რომ მთავრობა გაილაშქრებს საქსონიასა და ტიურინგიაზე. რეზოლიუცია მიღებულ იქნა 1.500 ხმით 50 წინააღმდეგ.

კომუნისტური გაზეთი „როტე ფანე'' მოუწოდებს მუშებს საჩქაროდ შექმნან პროლეტარული ასეულები.

პროფკავშირთა და კომპარტიის ერთიანი ფრონტი.

ბერლინის კომპარტიის კომიტეტმა წინადადება მისცა პროფკავშირებს—განაახლონ მოლაპარაკება ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ

დიდი კოალიციის შექმნის შემდეგ.

პარლამენტარულ წრეებში არ სჯერათ ფინანსიური გამოჯანსაღების შესაძლებლობა. ფინანსის რაოდენობა სახეზე არ აღემატება 100 მილიონ ოქროს მარკას.

მიულერმა ვოუშვა სადავე.

გენერალ მიულერმა განაცხადა მიღებულ იქნას ზომები საქსონიაში სურსათის მიწოდების საქმის გაადვილების შესახებ და აღნიშნა, რომ თუ საკონტროლო კომისია სურსათის რეკვიზიციას მოახდენს, მათ წინააღმდეგ გამოყვანილი იქნება სამხედრო ძალები.

სეპარატისტებს უხარიათ.

„ფოსიშე ცაიტუნგი'' ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცნობილი ბავარიის წრეები, რომლებიც პროვოკაციას ავრცელებენ ცენტრალურ მთავრობის შესახებ, ცდილობენ მოამზადონ ნიადაგი სეპარატიული გეგმების განსახორციელებლად.

ყოველი თავისას გაიძახის.

„ბერლინერტაგებლატი" (დემოკრატების ორგანო) აცხადებს, რომ თუ რომ საქმე მიაღწევს განხეთქილებაზე, პასუხისმგებლობა დააწვება მხოლოდ და მხოლოდ ბავარიას. ცენტრალურ მთავრობას დარჩენია მხოლოდ ერთი გზა: განამტკიცოს თავისი ავტორიტეტი საქსონიაში და ბავარიაში.

„ფორვერტს" სწერს: „თუ სახელმწიფოს მთლიანობას ბოლო მოეღება, ეს იქნება ნიშანი სახელმწიფოს ხელახლავ შეერთებისა. ბალტიის ზღვიდან ალპებამდი იფეთქებს მოძრაობა მთლიანობის აღსადგენად, რომელსაც სათავეში მოექცევა სოციალ-დემოკრატია".

პროფესიონალურ მოძრაობის მოღვაწეთა მარცხნით გადახრა.

პროფკავშირები, მწვავე ფინანსიური კრიზისის გამო, საგრძნობლად ამცირებენ შტატებს. პროფესიონალური და ბიუროკრატიული აპარატი რომელიც იჭერდა ამ დრომდი მასებს დისციპლინის კლანჭებში, ეხლა სტიქიურად ინგრევა. შედეგები გამოდის პროფკავშირთა მოღვაწეების მარცხნით გადახრა.

პური მიუწდომელი ფუფუნების საგანი გახდა.

არა ოფიციალური კურსი დოლარის ოც მილიარდ მარკას აღემატება. პურის ფასი აიწია ერთ მილიარდ მარკიდან 2 ნახ. მილიარდამდე. ამის გამო დანგრეულ იქნა ბულკებით სავაჭროები.

კიდევ ერთი დაწვრილებითი ცნობა კონფლიქტის შესახებ.

გაზეთების ცნობით, გერმანიის რეიხსვერის სარდალმა ლოსოვმა, თავის დროს ღია ტელეგრამაში რეიხსვერის მთავარ სარდალს გენერალ სეკტუს უარი განუცხადა განკარგულებაზე გიტლერის გაზეთის „ოლკიშერ ბეობახტერის“ დახურვის შესახებ. სეკტმა საჩქარო წინადადება მისცა ლოსოვს თავის ნებით გადამდგარიყო თანამდებობიდან. ლოსოვმა უარი განაცხადა მაშინ მოგერიების მინისტრი გესლერი გაემართა აუგსბურგში და წინადადება მისცა ბავარიის გენერალს კრესსენშტეინს, რათა უკანასკნელი მოლაპარაკებოდა ლოსსოვს გადამდგარიყო. კრესენშტეინმა ინახულა ლოსოვი და უკანასკნელმა საჩქაროდ აცნობა ბავარიის მთავრობას თავის საუბარის შესახებ კრესენშტეინთან. ბოლოს კრესენშტეინი იძულებული გახდა თავისთავად გადამდგარიყო თანამდებობიდან.

გაცხარებული კომპანია ბერლინის წინაამდეგ.

შტრეზემანის ცდამ—ბავარიის შევიწროებით შეჰქმნას, საკსონის კონფლიქტთან დაკავშირებით, თავისი უპარტიობაზე შთაბეჭდილება—გამოიწვია ბავარიაში გაცხარებული კომპანია ბერლინის წინაამდეგ. ბავარიის მთავრობა განაგრძობს კატეგორიულ მოთხოვნილებას გესლერის გადადგომის შესახებ და უარს ამბობს განაახლოს ურთიერთობა რეიხსვერის სარდლობასთან.

სოციალ-დემოკრატიული და დემოკრატიული პრესა ხაზს უსვამს, რომ ბავარია პროვოკაციას ავრცელებს ბერლინის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ყველაზე მეტად ეხლა, ვინემ ოდესმე სახელმწიფო მთლიანობას მოელის სერიოზული საფრთხე.

საბჭოთა ფედერაციაში.

ამხ. ტროცკი ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის მუშაობის შესახებ წითელ ჯარში.

რ. კ. ა. კ. ცეკას პლენუმის სხდომაზე საკითხის—რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წითელ არმიაში მუშაობის შესახებ, გამოვიდა ამხ. ტროცკი.

ჩვენი ღირსებანი.

შეჩერდა რა საკითხზე მილიციონურ ნაწილების შესახებ, ამხ. ტროცკიმ აღნიშნა წარმატება, რომლითაც ჩატარდა პირველი შეკრება ტერიტორიალურ ჯარებისა. ჩვენი მუშაობის დასაწყისში წითელი არმიის შედგენის დროს ჩვენ ბევრი მომხრეები გვყავდა ყოველ ახალი რაიმეს შემოღების საქმეში. ჩვენ არ გავყევით ამ დოქტრინერობის ახალ გზას. ჩვენი არმია წარმოადგენს მაინც მთელი რიგი ორიგინალურ ფორმების მაგალითს, როგორიც არ არსებობს ბურჟუაზიულ არმიებში—ეს უპირველეს ყოვლისა ჩვენი მეთაურთა შემადგენლობაა.

მთელი ძალები გერმანიის რევოლიუციის დასაცავად.

მერვე სრულიად რუსეთის საკავშირო ქსელის მუშ.თა ყრილობაზე გამოვიდა ა ხ. ტროცკი, რომელსაც შეხვდა აუდიტორია მხურვალე ტაშით. მოხსენებაში საერთაშორისო მდგომარეობაზე ამხ. ტროცკი შეჩერდა რევოლიუციონურსა და ფაშისტურ ძალების განწყობილებაზე გერმანიაში და გერმანიის რევოლიუციის პერსპექტივების შესახებ. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ყრილობა უგზავნის სალამს გერმანიის პროლეტარიატს და აცხადებს: ჩვენ მზადა ვართ დავეხმაროთ ჩვენი ძალები გერმანიის პროლეტარიატს.

ჩვენი ნაკლი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მა მართლაც ღირსებებთან ერთად, რომლებიც ჩვენ გამოვიჩინეთ ამ 6 წლის განმავლობაში, არის მაინც რამოდენიმე ნაკლები, რომლის თავიდან აშორებაში შეუძლია დაგვეხმაროს კომუნისტურმა ახალგაზრდობამ. ნაწილების მიერ წარმოდგენილი ანგარიში არის გადაჭარბება და მრავალი „კაზიონი“ თვითკმაყოფილება. ჩვენ არ გვინდა დაჯერება: „ყველაფერი რიგზეა“, ჩვენ უნდა ვისწავლოთ გაჭრევებზე, დაბრკოლებებზე და ნაკლეზე, რომლებიც ჩვენ გვქონდა და დღესაც გვაქვს.

სამხედრო პროპაგანდის საქმის დაყენების შესახებ ამხ. ტროცკიმ აღნიშნა, რომ მთელი ჩვენი პოლიტიკა მიმართულია ზავის მიღწევისაკენ, მაგრამ რასაკვირველია ჩვენი თანაგრძობა და სიმპატია გერმანიის მშრომელი ხალხის მხარეზე არის.

კომუნისტური ახალგაზრდობის კოლექტივების შესახებ არმიაში.

კომუნ. ახალგაზრდობის კოლექტივის შექმნის საკითხის შესახებ წითელ არმიაში ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ ამ ჟამად არარის არავითარი საჭიროება გავავხედოთ საკითხს. მთელი პოლიტმუშაობა უნდა შემოკრებილ იქნას პარტიულ უჯრედების ირგვლივ, ვინაიდან საზიანო იქნება პარალელური ორგანიზაციების შექმნა.

ამხ. ტ ი ლ მ ა ნ ი.

გერმანიის რეიხსტაგის კომუნისტურ ფრაქციის წევრი.

ამხ. გ რ ო ტ ე.

ამხ. გროტე გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ბელადია. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები დღეს ხელმძღვანელობენ გერმანიის მუშათა საგაფიცვო მოძრაობას. და არა მარტო საგაფიცვო მოძრაობას, არამედ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები დღეს გერმანიის პროლეტარიატის ხელმძღვანელია. გერმანიის საქარხნო კომიტეტებს გერმანიის ბურჟუაზია და სოციალ-გამცემლები მომავალ მუშათა საბჭოებს ეძახიან.

და ეს მართლაც ასეა არის. რა როლსაც რუსეთში თამაშობდენ ოქტომბრის რევოლიუციამდი მუშათა საბჭოები, იმ როლს ასრულებენ დღეს გერმანიაში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები. კუნოს მთავრობა დაამხო გერმანიის პროლეტარიატის მასიურმა გაფიცვებმა, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები.

გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებში დიდი უმრავლესობა კომუნისტები არიან. ასე, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხდება ფაბრიკა-ქარხნების და საერთოდ გერმანიის პროლეტარიატის მოძრაობა. ამხ. გროტე ბელადი და სულის ჩამდგმელია საქარხნო კომიტეტების. ის თვით მუშაა და მას ძალიან კარგად ესმის, რომ ბურჟუაზიის დამხობა შეიძლება მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლით და პარლამენტარიზმით. გერმანიის პროლეტარიატის ორგანიზაციებს კიდევ დიდი ბრძოლები უდევს წინ. ამხ. გროტე მთელი თავისი არსებით მათთან არის.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში·

ყველმოქმედი—საფრანგეთი

მასარიკს საპატივცემოდ მოხდა მანევრები, რის შემდეგ ფოშმა თავის სიტყვაში ევროპის მდგომარეობის შესახებ განაცხადა: „ჩეხო-სლოვაკია განვითარებულია, მაგრამ მისი მტრები კვლავ ემუქრებიან მას, ის უზრუნველ ჰყოფს თავის მდგომარეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ მუდამ იზრუნებს მოგერიებაზე და დაეყრდნობა დასავლეთ სახელმწიფოებს.

კიდევ ლუკმა ერთგულ ფინიებს.

მასარიკისა და ბენეშის პუანკარესთან მოლაპარაკების შედეგში, მოხდა შეთანხმება საფრანგეთის კრედიტზე 1.200.000.000 რაოდენობით მცირე ანტანტისა და პოლონეთისათვის. კრედიტის დანიშნულებაა საფრანგეთში აუცილებელ საჭიროების ნივთების შესყიდვა.

შტრეზემანი სთხოვს დახმარებას მუსოლინს.

გერმანიის ელჩმა რომში მიმართა მუსოლინს თხოვნით — მოახდინოს გავლენა პუანკარეზე რურის კონფლიქტის დაჩქარებით გადაჭრის საქმეში. გერმანიის წარმომადგენლის მიღების შემდეგ, მუსოლინიმ მაშინვე მიიღო ინგლისის ელჩი.

საფრანგეთი უსისინებს ჩეხოსლოვაკიას გერმანიაზე.

ოფიციალური ცნობა ხაზს უსვამს განსაკუთრებულ მნიშვნელობას პუანკარეს მოლაპარაკებას მასარიკსა და ბენეშთან. პრესა ამ მოლაპარაკებაში ხედავს ფრანკო-ჩეხიის მოლაპარაკების გაგრძელებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრაგაში. საქმის მცოდნე წრეები იუწყებიან, რომ მოლაპარაკება სწარმოებს პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის მიზნით, მსგავსად პოლონეთ - საფრანგეთისა, სამხედრო კონვენციის დადგენაა უნდა უზრუნველჰყოს ერთიანი გამოსვლა საფრანგეთისა და ჩეხო სლოვაკიის.

იაპონია.

ქვეყნის აღდგენის მაგივრად—იარაღდებიან.

იაპონიის სამხედრო სამინისტრომ ქვეყნის განსაკუთრებული „აღორძინების“ ხარჯებისათვის პარლამენტიდან გამოითხოვა 180 მილიონი იენი.

პოლიცია კბილებ მდე შეიარაღებულია.

მთავრობა აიარაღებს პოლიციას ამერიკული წესით ე. ი. რევოლვერებით და ტყვიამფრქვევებით.

გლეხობის საერთაშორისო კონფერენცია.

(დასასრული, იხ. „წით. წით. არმ.“ № 376)

ბურჟუაზია, მემამულეები და სხვა წვრილი ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც თავს გლეხების ინტერესების დამცველებათ ასაღებდენ ცდილობდენ შეექმნათ გლეხური მწვანე ინტერნაციონალი. ამ საქმეში დიდი მუშაობა გასწია სტამბულინსკიმ. ბულგარეთის გლეხურ პარტიის ბელადმა. სტამბულინსკის მიზანი იყო შეექმნა გლეხობის კავშირი მუშათა კლასის დამოუკიდებლად, მაგრამ მისმა პროგრამამ სასტიკი მარცხი განიცადა, არა მარტო გლეხობის საერთაშორისო ორგანიზაციის მოწყობის საქმეში, არამედ თვით ბულგარეთშიაც.

როგორც ცნობილია, ბულგარეთი გლეხური ქვეყანაა. ქალაქის მრეწველობა იქ მეტად სუსტად არის განვითარებული და ბურჟუაზიაც სუსტია. ამისათვის სტამბულინსკის უნდა ჰქონოდა მტკიცე ნიადაგი გლეხურ ბულგარეთში, მაგრამ როგორც ვიცით მიმდინარე წლის ზაფხულზე ბულგარეთში მოხდა გადატრიალება, დაეცა სტამბულინსკის კაბინეტი და ბულგარეთში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ფაშისტურმა ბურჟუაზიამ. სტამბულინსკიმ ვერ შესძლო ძალაუფლების შენარჩუნება, მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთის გლეხობა მას უჭერდა მხარს. ეს გარემოება კიდევ ზედ მეტად ამტკიცებს, რომ გლეხობას არ შეუძლია დამოუკიდებლად მუშათა კლასისაგან აწარმოოს ბრძოლა მემამულეების და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ის უსათუოდ დამარცხდება

ავიღოთ ბულგარეთის უკანასკნელი ამბები. ბულგარეთი მოცული იყო აჯანყებებით. ბულგარეთის მშრომელი გლეხობა აუტანელ პირობებში ჩავარდა ჯერ სტამბულინსკის უხეირო მოქმედებით, შემდეგ კი ფაშისტურ მთავრობის ბატონობით. მან აღმართა აჯანყების დროშა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაგრამ ის უძლური გამოდგა და დამარცხდა, დამარცხდა იმისათვის, რომ მას არ ქონდა მჭიდრო კავშირი მუშათა კლასთან, მისი ბრძოლა უორგანიზაციო იყო. მას არ ყავდა ხელმძღვანელი წარმოებულ ბრძოლაში, ასეთობას კი გაუწევდა მას მუშათა კლასი და კომუნისტური პარტია. ბულგარეთის მაგალითი კიდევ ერთ ხელ ამტკიცებს, რომ აუცილებელია გლეხობის და მუშათა კლასის გაერთიანება, მხოლოდ ამ ორ შეერთებულ ძალას შეუძლია იხსნას გლეხობა ბურჟუაზიის და მემამულეების ჩაგვრა-მონობისაგან.

თუ ბულგარეთში, სადაც მუშათა კლასი მცირე რიცხვიანია, ასე დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხობის და მუშათა კლასის კავშირს, მაშინ ცხადია თუ როგორი განუზომელი მნიშვნელობა აქვს ამას ისეთ ქვეყნებში, სადაც მუშათა კლასი ძლიერია.

მთელი რიგი ევროპის სახელმწიფოებისა, როგორც მაგ. იტალია, პოლონეთი, სამხრეთ სლავია, ესპანეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები და სხ. უმეტესად გლეხური ქვეყნებია. თუ ამ ქვეყნების გლეხობა დარჩა ბურჟუაზიის და ფაშისტების გავლენის ქვეშ, მაშინ მუშათა კლასის გამარჯვება ძნელი საქმეა. ამისათვის ყველა ქვეყნების მუშათა კლასი და მისი მეპაირადტრე კომუნისტური პარტია უნდა ეკადოს განამტკიცოს მტკიცე ურთიერთობა, მუშათა კლასისა და გლეხობის. კომ. პარტიამ უნდა მიმართოს მთელი ძალღონე იკეთკნენ, რომ შეაგნებინოს გლეხობას საკუთარი ინტერესი, დაინტერესოს ის პროლეტარულ რევოლიუციით და გამოგლიჯოს ხელიდან ბურჟუაზიას.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მუშების და გლეხობის გაერთიანებას მსოფლიო მასშტაბით სათანადო ყურადღება მიაქცია ა. წ. ივნისში მომხდარ კომინტერნის გაფართოებულ პლენუმზე რუსეთის კომპარტიამ, რომელსაც აქვს სათანადო გამოცდილება რევოლიუციონურ ბრძოლის და მუშების და გლეხობის კავშირის მნიშვნელობის, დასვა საკითხი მუშების და გლეხების გაერთიანების შესახებ მსოფლიო მასშტაბით. საუბედუროდ ყველა ქვეყნის მუშებს არ ქონდათ შეგნებული, რომ აუცილებელია გლეხობასთან კავშირის განმტკიცება. მუშათა კლასი არ აქცევდა სათანადო ყურადღებას გლეხობას, არ ზრუნავდა გლეხობის მიმხრობაზე, გლეხობის ბურჟუაზიულ გავლენისაგან განთავისუფლებაზე. ეს მოვლენა დიდი ნაკლი იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის.

ამას უნდა მოღებოდა ბოლო. კომინტერნმა, მსოფლიო რევოლიუციის შტაბმა, დასვა დღის წესრიგში მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის ბრძოლა მსოფლიოში. ყველა ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა სცვნეს აუცილებლად მუშების და გლეხების გაერთიანება, ბრძოლა მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის. ეს იდეა თან და თან იზრდება და ფეხს იკიდებს მსოფლი პროლეტარიატის რიგებში.

გლეხობის საერთაშორისო კონფერენციაზე ანუ პირველ გლეხურ ინტერნაციონალმა საძირკველი ჩაუყარა მსოფლიოში მუშების და გლეხობის გაერთიანებას. მართალია ეს პირველი ნაბიჯია, ეს ახალი საქმეა, მაგრამ სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი კონფერენცია შესძლებს გლეხობის გამოფხიზლებას, მათ ინტერესების დაკავშირებას მუშათა კლასის ინტერესებთან.

მსოფლიო გლეხობა იფხიზლებს და ის მუშათა კლასთან ერთად აწარმოებს ბრძოლას ბურჟუაზიის დასამხობათ. კომუნისტური ინტერნაციონალი, გლეხობის კონფერენციის მიერ არჩეული, გლეხობის საერთაშორისო საბჭო, და ყველა ქვეყნების კომუნისტური პარტიები შესძლებენ მსოფლიო გლეხობის გამოგლეჯას ბურჟუაზიის გავლენისაგან და ეს ორი ბუმბერაზი ძალა, მუშათა კლასი და გლეხობა, შეერთებული ძალით კისერს მოუგრეხენ მსოფლიო ყაჩაღურ ბურჟუაზიას.

ს. ჰ.

ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ.

ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ ქართულ მეთაურთა სკოლას და ჭემწყობრო ასეულს მოუხდა ბინის გამოცვლა. საზოგადოთ ამ ნაწილმა ვერ მოახერხა ერთი მუდმივი შესაფერი ბინის შოვნა და თავისი არსებობის განმავალობაში ეს მეექვსე ჯერ არის რომ იცვლის ბინას, რაც რა თქმა უნდა ბევრ დროს აკარგვინებს მას.

უკანასკნელ კვირეებში ახალ ბინაზე მოწყობის შემდეგ უკვე დაიწყო ნორმალური მუშაობა, განახლდა მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფებში. შესდგა ახალი ჯგუფი, იმ წითელ არმიელებიდან, რომელნიც ამ მოკლე ხანში იქნენ გადმოგზავნილნი სხვა და სხვა ლეგიონებიდან. ესენი შეადგენენ რიცხვით 30 კაცს, რომელთა შორის 25 სავსებით წერაკითხვის უცოდინარია და 5 მცირე მცოდნე.

მოწყობილ იქნა აგრეთვე საუბარი გერმანიის ამბების შესახებ, რომელსაც წ. არმიელები დიდის ინტერესით უსმენდენ. დაწყებულია აგრეთვე თებერვლისა და ოქტომბრის რევოლიუციის შესწავლა.

წითელ არმიელები კმაყოფილნი არიან ყოველმხრივ, როგორც სურსათ-სანოვაგით, აგრეთვე ტანსაცმელით და უფროსების მოპყრობითაც.

ბ—ძე.

კედლის გაზეთი.

18 ოქტომბერს ცალკე მესანგრე ასეულში იქმნა გამოშვებული კედლის გაზეთი „წითელი მესანგრე“ სადაც მოთავსებულია წითელ არმიელების წერილები, ლექსები და კარიკატურები. გაზეთი კარგი შინაარსიანია.

ხსენებულმა გაზეთმა ძლიერ დააინტერესა როგორც წით. არ: აგრეთვე უფშემადგენლობა. სასურველია ეს გაზეთი გამოიცეს სისტემატიურად.

პ. ხ.

ბიბლიოგრაფია.

„ლეგიონერთა ტრიუმფი“.

რედაქციამ მიიღო მეორე ლეგიონის სალიტერატურო წრის გამოცემა ხელნაწერი ჟურნალი „ლეგიონერთა ტრიუმფი“ № 1. 24 გვერდიანი. ჟურნალში მოთავსებულია მოწინავე, ესკიზები, აფორიზმები, ლექსები და კრიტიკა. არის ლამაზი სურათები, კომუნიზმის ბელადებისა, მწერლებისა და რევოლიუციონურ ეპიზოდებიდან. (გადაღეპულნი).

უნდა სამართლიანად ითქვას, რომ ხელმძღვანელი ცდილა ამ ნომრისათვის, მაგრამ უკეთესი იქნებოდა და ჟურნალიც ლამაზი გამოვიდოდა, რომ მასალები უფრო დალაგებულად იყოს და ჟურნალში, ფურცლები დაარშიებული, მკითხველს უფრო მიიზიდავდა, მერე: კიდევ ოვალე იყო პასუხისმგებელი რედაქტორი მიექცია ყურადღება მასალის გასწორებისათვის. ენა კუთხურია და ჟურნალს კი არ შეჰფერის ეს. კიდევ: ჟურნალი უნდა ეხმარებოდეს ლეგიონს და შიგ-კი არაფერია ამისი მზგავსი. გარდა მოწინავისა, სადაც ნათქვამია: „ზარპაზნების, ქუხილთან ერთად დავტკბეთ პოეზიის ჰიმნით“.

აქ არის კრიტიკა ფუტურიზმზე, მაგრამ არა სწორედ. იმას რაც კრიტიკაში გაკიცხულია თვით ამავე ჟურნალში მოთავსებული ლექსები ამართლებენ. ასეთ წინააღმდეგობებს უნდა ერიდოს ხელმძღვანელი მომავალში.

საჭიროა ჟურნალში მეტი ადგილი ჰქონდეს სამხედრო საქმეს, წითელ არმიელთა გულთან დაახლოვებას, შინაურ ამბებს.

ვალში გაუსწორდებიან ჩვენს პროლეტარულ პოეტებს, თუ ეცდებიან და განვითარდებიან.

ჟურნალი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს და პირველ ლეგიონის ჟურნალების შემდგომ არც გვინახავს ამის მეტი.

ვუსურვებთ ამ საქმის ხელმძღვანელთ მეტ ენერგიას ჩვენი მეორე ლეგიონის საკეთილდღეოდ, რათა უფრო გაუმჯობესებულ გამოცემებით მაგალითი მიეცათ სხვა, აწ გაჩუმებულ ნაწილებისათვის.

სანი.

წერა-კითხვის უცოდინარობა საბოლოოდ ისპობა.

ქართულ არტილერიის მესამე სამთო ბატარეიაში მუშაობა გამოცოცხლდა, როგორც სამწყობრო ისთე პოლიტიკურ მეცადინეობასაც მიეცა სისტემატიური ხასიათი.

წერა-კითხვის უცოდინართათვის არის ყოველდღიური მეცადინეობა, და თან და თან წერა-კითხვის უცოდინარობა ისპობა. 25 ამ თვეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი წითელი არმიელი არ გვეყოლება ნაწილში.

პოლიტ მეცადინეობის საშვალებით წ.-არმიელები თანდათან ერკვევიან ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენებში. ნაწილის კულტურულად წინსვლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამხანაგებს ბატარეის სამხკომს და ბატარეის უფროსს ანდრონიკაშვილს, რომლებიც თავიანთ ენერგიას არ იზოგავენ წ.-არმიელთა გათვითცნობიერებისათვის.

ი. ხარგელია.

მოხსენება მომენტის შესახებ.

ჩვენს ცალკე მესანგრე ასეულს ამ დღეებში ეწვია ჩვენი შეფის, მიწად მოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ოგანეზოვი, რომელმაც დაათვალიერა ყაზარმები და გაეცნო წ.-არმიელთა მდგომარეობას. შემდეგ მოხდა წითელ არმიელთა კრება, რომელზედაც კომისარიატის სახელით წითელ-არმიელებისადმი მისალმების შემდეგ ამხ. ოგანეზოვმა გააკეთა მოხსენება გერმანიის ამბების შესახებ. მოხსენება წ.-არმიელებმა დიდის ინტერესით მოისმინეს და მომხსენებელი დაჯილდოვებულ იქნა მხურვალე ტაშის ცემით.

პ. ხ.

დივიზიის სამხ. რევტრიბუნალში.

ი. წ. 23 ოქტომბერს.

ქართულ დივიზიის საბეითლო საავადმყოფოს და მსუბუქ საგაუბ[illegible]ო საარტილერიო პარკის წითელ არმიელთა ბრალდების გამო დეზერტირობაში და სახაზინო ქონების გაფლანგვაში.

24 ოქტომბერს.

1-ლ და მე-2-ე ქართულ ლეგიონის წითელ მოლაშქრეთა, შაქრო გობიტაშვილის და ვლადიმერ გულუას ბრალდების გამო დეზერტირობაში.

25 ოქტომბერს.

მესამე ქართულ ბატარეის და მეორე ლეგიონის წითელ მოლაშქრეთა ბრალდების გამო დეზერტირობაში და სახაზინო ქონების მითვისებაში.

26 ოქტომბერს.

1-ლ ლეგიონის წითელ მოლაშქრეთა სიმადილოვის და ლეონტი რაზმაძის ბრალდების გამო დეზერტირობაში.

29 ოქტომბერს.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის, კარაპეტ გასპაროვის და 1-ლ ლეგიონის წით. არმ. გიორგი თომას ძე ბასილაშვილის და თომა ილიას-ძე აბულაშვილის ბრალდების გამო დეზერტირობაში და სახაზინო ქონების გაფლანგვაში.

31 ოქტომბერს.

მეორე ლეგიონის წითელ არმიელის ივანე სოლომონის-ძე ოქოშვილის ბრალდების გამო დეზერტირობაში.

საქმეები ირჩევა სამხედრო ტრიბუნალის აუდიტორიაში და იწყება გასამართლება დილის 9 საათზედ. სხდომაზე დასწრება ყველას შეუძლია.

ბრძოლის მარში

ძველი ქვეყანა ინგრევა სრულად
ჩვენ სიხარულით ვუცქერთ ნაპრალებს
თავისუფლების სხივი ისრულად
გამოდის და მტრებს უბრმავებს თვალებს,

***

ამხანაგებო, აენთეთ ცეცხლით,
გველის ახალი ბარიკადები.
ჩვენ მოგვიხდება კვლავ ბევრი შეხლა
და მტრების სისხლის ანაკადები.

***

დღეს ოქტომბერი სალუტით მოდის,
„დასავლეთისკენ“ — გუგუნებს მარში,
და თუ დღეს არა, მაშ როდის, როდის!..
ამხ ნაგებო, გამწკრივდით მარში!

ც. ხ.

რაზედ გვწერენ.

14 ოქტომბერს საღამოს, 8 საათზე 1-ლი ლეგიონის წ. არმიელი მოდებაძე და კიდევ მასთან ორი სხვა, მთვრალები დადიოდენ რუსთაველის პროსპექტზე და ეჯახებოდენ გამვლელ გამომვლელ ქალებს.

ბოლოს მათ თავგასულობას ხალხმა ყურადღება მიაქცია და უძრახეს ასეთი საქციელი, მეც საყვედურით მივმართე, რომ ასეთი ქცევით სახელს უტეხენ წითელ არმიელებს, რის გამოც იმათ დამიწყეს ლანძღვა უშვერი სიტყვებით.

საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ თავხედობას.

მეთვალყურე.

ასეთ საქციელს ბოლო უნდა მოეღოს.

ქართულ მეთაურთა სკოლის უფროს ექიმს კიდევ ვერ შეუგნია თუ როგორ უნდა მოეპყრას წითელ არმიელს. მას ჰყავს ქსენონში ორი სანიტარი, რომელნიც ექიმმა გაიხადა თავის პირად მოსამსახურეებათ. სამსახურის გათავების შემდეგ უფროსი ექიმი სახლში წაბრძანდება ცხენით და თან იყოლებს წითელ არმიელს, სანიტარ ქვეითად ზურგზე ტვირთ აკიდებულს და მოსძახის ცხენიდან „ჩქარა მომდიე, არ დააგვიანო სახლში პურის და ხორცის მოტანაო“. მაგრამ მოგეხსენებათ რომ ვაკედან ავლაბრამდის შვიდი ვერსია და ცხენს, რომ კაცმა ფეხით მისდიოს ძნელია. ერთს დილას ამ წერილის დამწერმა ექიმს სახლში მიუყვანე ცხენი. ის ცხენით წამობრძანდა სკოლაში მე კი ფეხით მოვსდევდი. სკოლაში რომ მოვედი ექიმმა მიყვირა, რაზე დააგვიანეო და მუშტის და სილის გაკვრით მემუქრებოდა — ისეთს გაგარტყამო რომ ბათუმს დაგანახვებო მიყვიროდა. ბოლოს ამ სიტყვებითაც აღარ დაკმაყოფილდა, მტაცა კისერში ხელი და მიმარხ-მომარხია, მაგრამ ამ დროს წამოგვესწრო ორი ამხანაგი, დაინახა თუ არა ისინი ხელი გამიშვა და დამიწყო ყვირილი ჩაგაგდებ ციხეში შე უბედუროო, თან მეუბნებოდა, „მენია ვსე ზნაიუტ“, ვითომცმას როგორც ექიმს ყველა იცნობდეს — და მეკი როგორც დაბალს კაცს კი არავინ. მე მგონია ასეთ რაიმეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თუ წ.-არმიელი რამე უკანონობას ჩაიდენს, ამისათვის საჭიროა მოეთხოვოს პასუხი კანონის ძალით, და არა ლანძღვა გინებით, მუშტით და ყელში ხელის ტაცებით. მე სრული დარწმუნებული ვარ რომ ამ მდგომარეობას მიექცევა სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

თუთაშვილი.

პატარა ფელეტონი

გეწვის ხიდი.

ინსპექციის მოლოდინში.

— ამხანაგებო! დღეს მე იმიტომ დაგიბარეთ, რათა გამოგიცხადოთ ფრიად ღირსშესანიშნავი ცნობა! მიმართა №- ლეგიონის უფროსმა მოხერხებულაძემ თავის ხელქვეით უფროსთა შემდგენილებას და ცხვირზედ წამოცმულ სათვალეებს ზევიდან მნიშვნელოვანად გადახედა მათ. — ჩვენ ამ დღეებში გვეწვევა საინსპექციოთ გამოგზავნილი პირი.. და აი, აქ უნდა გამოვიჩინოთ თავი და ყველაფერი ბრწყინვალედ ვაჩვენოთ! ამ სიტყვებზედ ასეულის უფროსებმა ქედი მოიქნიეს მორცხვათ და თავი ძირს დახარეს.

— მე, როცა შტაბში ვიყავი, განაგრძობდა ლეგიონის უფროსი მოხერხებულაძე, რასაკვირველია, ყველგან ვცდილობდი მექო ჩემი ნაწილი. ყველას უკვირდა და განცვიფრებაში მოდიოდა, რომ მე ჯერ კიდევ არ მოვსულიყავი ლეგიონში და რადაც ორი კვირის განმავლობაში უკვე დიდი ცვლილება მომეხდინა ნაწილში. დავდიოდი და საცა კი შეიძლებოდა ქუჩაში თუ ეზოში, ოთახში თუ კაბინეტში, შესავალში თუ გასავალში, ასავალში თუ დასავალში სულ ჩემი თავის ქებაში ვიყავი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი ატმოსფერა შევქმენი, რომ ოთხი-ხუთი დღის შემდეგ, სადაც წავედი ყველგან ჩემზედ ლაპარაკობდენ და სულ ჩემს ქებაში იყვნენ!.. დამერწმუნეთ მე, რომ მე ჩემის საკუთარის ყურით მოვკარი ასეთ ლაპარაკს!.. ჩემი გამოცდილებით გეუბნებით და გარწმუნებთ, რომ ეს ერთი საუკეთესო საშუალებაა საერთო ყურადღების დამსახურებისათვის...

მოხერხებულაძე შეჩერდა, სათვალეები გაისწორა, მძიმედ ამოიოხრა და ჯაგარივით მაგარ, თეთრ, სვინტრისავით ამოსულ, გაუპარსავ ნიკაპზედ ხელი გაისვა.

— თქვენ ასეულის უფროსებო!.. უმთავრესად საჭმელს უნდა მივაქციოთ ყურადღება. აი, აქ მარხია ძაღლის თავი და აქ დიდი გამჭრიახობა უნდა გამოიჩინოთ! აქ მე კიდევ მოგიყვანთ გამოცდილების მაგალითს. მე როცა, აი ჩვენი მებინადრის ხნისა ვიქნებოდი, მეფის არმიაში უმცროს ოფიცრათ ვიყავი ერთ მეტად გამოცდილ ასეულის უფროსთან. ძალიან ახირებული და უცნაური ადამიანი იყო ის და ასეულში, წელიწადი ისე გაივლიდა ხოლმე, რომ ფეხს არ შესდგამდა შიგ. ერთი მარიფათიანი და დიდი გაიძვერა ფელდფებელი ხვატოვი ჰყავდა იმას და ის ატრიალებდა მთელ ასეულს. მიუხედავად ამისა, ასეული დივიზიაში საუკეთესოდ ითვლებოდა... ჰო, იმას მოგახსენებდით... ერთხელ საინსპექციოთ ერთდროულად უნდა მოსულიყვნენ დივიზიის და ბრიგადის უფროსები. მაშინ, იმ დროს, საქმე ისე გვქონდა დაყენებული, რომ უფროსის ყველა სუსტი ალაგები უნდა გვცოდნოდა... მერწმუნეთ მე და ჩემს ჰაღარას, რომ ეხლაც საჭიროა ამის ცოდნა!.. მახსოვს მე, როდესაც პეტერბურგში ამ მიზნით განსაკუთრებული ოფიცერი იყო გაგზავნილი ერთ ბობოლას ზნეჩვეულების შესასწავლად... ჰო, იმას მოგახსენებდით.. ჩვენ პოლკში მაშინვე დიდ მზადებას შეუდგენ, ყველგან ფხეკა, წმენდა, რეცხვა და ცაიდარაბა ატყდა. ერთ მშვენიერ დღეს ასეულის შედგენილების გასაკვირველად, ასეულში მოვიდა თვით ასეულის უფროსი, ჩაფიქრებული, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი. მოგვესალმა ნაღვლიანად, სკამზედ მოწყვეტილი დაეშვა და მძიმედ ქშინავდა. „ხვატოვს დამიძახეთ! წამოილუღლუღა მან. „ხვატოვ! დავიღუპეთ და დავნელდით მე და შენ! მიჰმართა ფელდფებელს, ივან ივანიჩ, ჩვენი საქმე კაპუტია.. ეს არის ეხლა მივიღეთ წერილი ჩვენი კაცისაგან, რომ თურმე ბრიგადის უფროსს პილპილიანი ბორში ჰყვარებია და დივიზიის უფროსს უპილპილო. აბა აქ რას იზამ კაცოო! ერთს აამებ, მეორეს ეწყინება, მეორეს აამებ და პირველს ეწყინება... ეს თავსატეხის სამტვრევი საკითხი მხოლოდ სოლომონ ბრძენს შეუძლიან გადასწყვიტოს! ცალ-ცალკე რომ მოვიდენ კიდევ მესმის: ერთს ბლომად ჩაუყრი პილპილს და მეორეს სრულიად არაფერს მაგრამ ეხლა ბიჭობა ის არის, რომ ერთად იქნებიან!“ სასოწარკვეთილი სახის გამომხატველობით შესცქეროდა იგი ხვატოვს. „თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ თქვენო აღმატებულებავ, ყველაფერი თავის რიგზედ იქნება“. დაამშვიდა ხვატოვმა. მართლაც და, როდესაც ბრიგადის და დივიზიის უფროსებმა ჩამოიარეს საჭმლის გასაშინჯავად, ჩვენ ასეულში ერთი გაისმა: „იფ! რა მშვენიერი პილპილიანი ბორში

ალ" და მეორე—„იფ რა მშვენიერი უპილპილოაო!" ბრძანებაშიც, დიდი მადლობა იყო გამოცხადებული და ასეულის უფროსიც ორდენზედ იყო წარდგენილი.

— ამხანაგო უფროსო, რა ზომები მიიღო იმ „სოლომონ ბრძენმა" ხვატოვმა, რომ ორივე ამას? შეეკითხა მოხერხებულაძეს ლეგიონის მნე კართოფილაძე.

— აი გიამბობთ. ჩვენ რასაკვირველია, ამის შემდეგ ჩავაცივდით ივან ივანიჩს და იმან საიდუმლოების ქვეშ გაგვიზიარა. თურმე ორი კვირის განმავლობაში ხის კოვზი პილპილში ახარშინა და გასინჯვის დროს ის კოვზი ბრიგადის უფროსს მიაჩეჩა და მას იმიტომ მოეპილპილა ჩვეულებრივად გაკეთებული საჭმელი, დივიზიის უფროსს კი უბრალო კოვზი მიართვა და იმასაც თავის გემოსი ეჩვენა... აი ამ გვარი „სოლომონ ბრძენები" აკეთებდენ საქმეს. მე ეს მაგალითი იმიტომ მოგიყვანეთ, რომ თქვენც სათანადო ზომები მიიღოთ. აბა, ხვალიდან შეუდექით ფხეკას, წმენდას, რეცხვას და სხვა დავიდარაბას, რომ ყველაფერი ბრწყინავდეს, ყველაფერი ბზინავდეს და კრიალებდეს!" გაათავა მოხერხებულაძემ თავისი სიტყვა-დარიგება და ყველანი გაიშალნენ.

ლეგიონის პასუხისმგებელი სამხედრო იმ ღამესვე იჯდა და წერილს აწერდა ჩვენ „წითელ-არმიელში" გამოსაგზავნად. როდესაც ეს წერილი ფოსტალიონს რედაქციაში მოჰქონდა უცაბედათ ხელიდან გაუვარდა, რაც ვერ შეამჩნია. ამით ისარგებლა რედაქციის გვერდზედ მოტრიალე ბეშტიამ და საიდუმლოდ გადასცა გოჩმანს, რომელმაც მაშინვე „ბეწვის ხიდთან გააქანა.

გოჩმან

ახალი ამბები

იუბილე.

27 ოქტომბერს, საოპერო თეატრში გაიმართება მუშა-მსახიობის დ. ბადაშვილის იუბილე, მისი 25 წლის სცენაზე მოღვაწეობისათვის.

მკითხველთა კრება

28 ოქტომბერს წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბის სამკითხველოში დანიშნულია მკითხველთა საერთო კრება; მიზანი კრებისა არის გამომუშავებულ იქნეს გეგმა, რომლის საშვალებითაც მკითხველები თვით მიიღებენ მონაწილეობას წიგნთსაცავის კეთილ მოწყობის საქმეში.

უმუშევართა მოძრაობა.

20 ოქტომბერს შრომის ბირჟაში გამოცხადდა **256** უმუშევარი, ხახლად ჩაეწერა—**114**, გაიგზავნა სამუშაოზე—**67**.

კვალიფიკაციის გამოსარკვევად

21 ოქტომბერს შრომის ბირჟის საბჭოთა მოსამსახურეების სექციაში იქნება მანქანაზე გადამწერთა ცოდნის შემოწმება, მათი კვალიფიკაციის გამოსარკვევად.

სამხედრო სამეცნიერო ჟურნალი.

ახლო მომავალში მოსკოვში გამოვა სამხედრო სამეცნიერო კრებული „წითელი არტილერია"; სასურველია აღნიშნულ ჟურნალს გამოიწერდენ ჩვენი ჯარის ნაწილები ხელის მოწერა შეიძლება პოლიტ-განის საგამომცემლო განყოფილების საშვალებით და ეღირება 40 კაპ. ჩერვონცებით.

პროლეტარული მწერლობის ორგანო.

გამოვიდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის გაზეთი ორიონი.

კავკასიის კავალერიის ბრიგადის დღესასწაული.

ახლო ხანში გაიმართება კავკასიის კავალერიის ბრიგადის დღესასწაული ა. კ ცეკამ ამ დღისთვის გადასდო 50 ჩერვონეცი.

მიწების დამუშავება.

აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა: გამოჰყოს კომისია, რომელსაც მიენდობა კოჟორის გარშემო გაცემული მიწების დამუშავების საკითხის გამორკვევა.

ა. კ. რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობა.

ა. კ. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ა. კ. რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობა მოწვეულ იქნას 10 დეკემბრისათვის თბილისში.

სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კახელ მევენახეთა კავშირთა-კავშირის გამგეობამ დაადგინა მთელი კახეთის რაიონისათვის შეიძინოს ერთი მსუბუქი ჰაეროპლანი სეტყვის წინაამდეგ საბრძოლველად.

შეღავათი სოფელზე.

კახელ მევენახეთა კავშირთა-კავშირმა დაადგინა მიიღოს კულტ-შეფობა სოფელ ურიათ უბანზე.

საქალაქო აღწერის შედეგები.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა სრ. საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერის ჯამები.

[illegible] და [illegible]

მეცნიერების დამამშვენებელნი.

ამ ორმოცდა თოთხმეტი წლის უკან საფრანგეთის ერთმა სწავლულმა მთელი ქვეყანა გააკვირვა თავისი წინასწარმეტყველებით. ეს შესანიშნავი მეცნიერი იყო ფრანგი — გვარად ლევერიე. ლევერიემ თავის კაბინეტში მუშაობით, ცის სივრცეზე თვალის მიუპყრობლად გამოიანგარიშა და აღნიშნა ჩვენი მზის სისტემის, ჯერ კიდევ არვისაგან შენიშნულ ერთი ცდომილის (პლანეტის) არსებობა და მისი ადგილმდებარეობა ცაზე.

მეცნიერები ყოველთვის სიზუსტით აღნიშნავენ, თუ რომელი ცის მნათობი როგორ მოძრაობს და როდის რა ადგილზე იმყოფება. როგორც დიდმა სწავლულმა, ლევერიემაც წინ და წინვე იცოდა თუ როგორ მოძრაობენ სივრცეში სხვა და სხვა მნათობები, როგორია მათი მიმართულება და ამ მიმართულებაზე მათი მოძრაობის სიჩქარე.

იცოდა რა ყველა ეს, მან შეამჩნია რომ მზის სისტემაში შემავალი მაშინ უკანასკნელ ცდომილად ცნობილი ურანი არ მოძრაობდა ისე და იმ მიმართულებით, როგორც მაგალითად მზის სისტემის სხვა ცდომილები. ე. ი. მოძრაობის კანონიერ ფარგლებში არ რჩებოდა სხვა ცდომილებთან შედარებით. ყველა ამის შემდეგ, ლევერიეს უნებლიეთ დაებადა აზრი, რომ ეს მოვლენა არც ისე უბრალოა, როგორც ჰგონიათო: უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ცდომილი სხვისი გავლენის, მიზიდველობის ქვეშ არის მოქცეული და ამიტომ არის, რომ ურანი სცდება თავის გზასო.

მართლაც ცნობილი არის, რომ მნათობები სივრცეში ერთიერთისადმი მიზიდულობას განიცდიან: ეს აზრი მეცნიერებმა სთქვა და დაამტკიცა ჯერ კიდევ ლევერიემდე. ლევერიეც ციფრებით ხელში შეუდგა იმის გამოანგარიშებას, თუ სად, რომელი მიმართულებით უნდა ყოფილიყო სივრცეში ეს ყველასათვის უცნობი ცდომილი. მართლაც მისმა შრომამ ბრწყინვალედ დაგვირგვინდა: მან მონახა მისი ადგილმდებარეობა, მისი მოძრაობის მიმართულება სივრცეში და საქვეყნოდ გამოაცხადა: **ამა და ამ დროს, სივრცის ამა და ამ ადგილზე იმყოფება ესა და ეს ცდომილი, რომელიც ჯერ არავის შეუნიშნავსო.**

ლევერიე სცხოვრობდა პარიზში. მისი გამოკვლევის შესახებ გაიგო მეორე მეცნიერმა გვარად გალემ, რომელიც სცხოვრობდა ბერლინში. მანაც აიღო და თავისი ჭოგრიტი სივრცის იმ ადგილისაკენ მიაპყრო და იმ დროს, როგორც აღნიშნავდა ამას ლევერიე. პარიზის მეცნიერის ცნობა საქვეყნოდ გამართლდა. გალემ სწორედ იქ დაინახა ცდომილი, საიდაც ლევერიე მიუთითებდა. ამ ცდომილს შემდეგ ნეპტუნი უწოდეს.

ამნაირად ლევერიემ მატემატიკური გამოანგარიშებით, ცაზე შეუხედავად პირველად აღმოაჩინა ახალი ცდომილი და მისი მდებარეობა სივრცეში. ამ გამოკვლევამ დიდი ასოებით ამოჰკვეთა მისი სახელი მეცნიერების დამამშვენებელთა სახელებს შორის. განვლო დრომ. ლევერიე გარდაიცვალა. მადლიერმა ერმა უკვდავებით აღნიშნა მისი სახელი და პარიზის აკადემიის წინ დაუდგა დიდებული ძეგლი. ძეგლი წარმოადგენს თვით ლევერიეს, რომელიც სივრცის იმ ადგილისაკენ იშვერს ხელს, სადაც მან აღნიშნა ცდომილის ადგილმდებარეობა.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. **კ. გიორგაძეს.** დაუყონებლივ შემოიარეთ რედაქციაში.

დაიკარგა: სრ. საქართველოს განათლების მუშაკთა პროფ-კავშირისაგან მიღებული საწევრო წიგნაკი №5058 სოფიო სოლომონის—ას სვანიძის სახელობაზე. ჩაით ბულის გაუქმებულად.

ომი და ჯარის აღზრდა განვითარება.

(გაგრძელება იხ. „წ. არ" № 377)

ეხლა გავარჩიოთ, თუ როგორ უნდა შეასრულონ თავისი მოვალეობა მაძიებლებმა.

წარმოვიდგინოთ მაძიებლებმა მიიღეს ამოცანა, ყოველივე წინასწარი მუშაობა დამთავრებულია და უკვე გაემგზავრნენ მტრის საძიებლად.

მაძიებლებმა უპირველესად ყოვლისა არ უნდა დაივიწყონ, რომ მოწინააღმდეგის ჯარი ლაშქრობს და მოქმედობს გზებზედ, მხოლოდ საბრძოლველად გადადის გზებიდგან. სხვანაირად მას მოქმედებაც არ შეუძლიან. ყველამ კარგათ ვიცით, რომ ჯარს თან დასდევს მრავალი ორთვალა, სხვა და სხვა ეტლები და არტილერია, რომლითაც თუ არა გზით ისე სიარული არ შეუძლიანთ სრულიად, ან მეტად გაუძნელდებათ. მაშ სადამე მაძიებლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გზებს. მართლაც, თუ დაკვირვებით დავათვალიერეთ ყველა გზები განსაზღვრულ მიმართულებით, უეჭველად მტერსაც აღმოვაჩენთ და მის ძალას და მოქმედებასაც მალე გავიგებთ. საძიებელთა დასი, ვიდრე დანიშნულ საძიებელ უბანს მიუახლოვდება მიდის გზებზედ ჩვეულებრივ წესით, მხოლოდ თავი რომ დაიცვას მტრის მაძიებლის უეცრივ დაცემისაგან ჰგზავნის წინ მზვერავებს, დაახლოვებით 2 ვერსის მანძილზედ და გვერდებზედ ნახ. ვერსზედ.

მზვერავთა რიცხვი 3—5 ან 10 კაცი. ამათ არავითარ შემთხვევაში ჯგუფად არ უნდა იარონ, არამედ გაიფანტნენ საჭირო მიმართულებით ორ ორი კაცი. უფროსი მზვერავი უნდა მოეწყოს მზვერავთა უკან და თავისთან იყოლიოს ორი კაცი მოხსენებების გასაგზავნათ და მზვერავეტთან-კავშირისათვის. ყველა მზვერავებმა ისე უნდა იარონ, რომ შეეძლოთ თუ ერთმანეთის დანახვა არა, ერთმანეთისათვის ხმის მიცემა მაინც.

თუ საძიებელი დასი ისვენებს, მზვერავებმა უნდა გაათვალიერონ თვალყურის დევნა, დაიკავონ ახლო მახლო ისეთი ადგილი, საიდანაც ადვილად შეეძლიანთ მტერს უთვალთვალონ და თვითონ კი არ გამოჩნდნენ; მაგალითად პატარა გორაკი, რომელიმე შენობა, ვსთქვათ წისქვილი, ან ხეზედ ავიდნენ ანდა სხვა რომელიმე მაღლობ ადგილზედ.

ვსთქვათ მზვერავებმა შეამჩნიეს მტერი. ისინი მოვალენი არიან აუცილებლივ მოახსენონ დასის უფროსს ამის შესახებ, მაგრამ თვითონ კი თვალყურის დევნა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეწყვიტონ. აქ დასის უფროსმა უნდა გამოიჩინოს გამჭრიახობა და გადასწყვიტოს სწრაფად, რა უფრო ხელსაყრელი და სასარგებლოა. მისთვის, არ დაენახვოს მტერს და თვითონ შეუმჩნევლმა დაათვალიეროს იგი კარგად, თუ ჩაუსაფრდეს მას, ცოტა წინ გაატაროს და შემდეგ ზურგში თოფი დაახალოს. რასაკვირველია, ყოველივე ეს დამოკიდებულია ამოცანაზედ და იმაზედ, სუსტია მტერი დასსზედ თუ ძლიერი, ან ხელს შეგვიწყობს თუ ხელს შეგვიშლის ადგილმდებარეობა და სხვა. ყველა ეს უნდა მხედველობაში იქონიოს დასის უფროსმა, ყოველივე აწონდასწონოს და სწრაფი გადაწყვეტილება მიიღოს. რაკი მტერი უკვე შემჩნეულია იმის შემდეგ მაინც გზებზედ სიარული არ ვარგა. ეხლა მაძიებელნი უნდა ცდილობდნენ ბუჩქებს ან შენობებს ამოფარებული ან ღელეებით წინ წავიდნენ და ათვალთვალონ მტერი, გზებს მაინც თვალი არ უნდა მოაშორონ, რადგანაც, როგორც ზემოთ ვსთქვით, თუ მტერს უმთავრესად აქ აღმოვაჩენთ, თუ მზვერავმა რამე საყურადღებო შეამჩნია, მაშინვე თავის უფროსს უნდა მოახსენოს. თუ დასს დახვდა ხიდი რომელიმე მდინარეზედ და მდინარის მეორე ნაპირას. მტერი ეგულება, არ შეიძლება ამ ხიდით სარგებლობა, საჭიროა შეუმჩნევლად მის გვერდით ფონი იპოვნოს და ისე გავიდეს მდინარე. თუ დახვდა ისეთი ადგილობრივი საგანი, როგორც ტყე ან სოფელია, საჭიროა ჯერ მზვერავებმა გაიარონ ტყე ან სოფელი, კარგად დაათვალიერონ ისინი და როდესაც გამოარკვევენ ყოველისფერს, როგორმე აცნობონ დასის უფროსს, რომელიც ამ დროს ტყის ან სოფლის ნაპირას მოფარებული და თუ გამოირკვა, რომ სოფელი ან ტყე მტერს დაკავებული არა აქვს, უფროსი თავისი დასით მიდის წინ და თუ საჭიროა თვითონაც ათვალიერებს დასახელებულ საგნებს და გამოჰკითხავს ადგილობრივ მცხოვრებლებს.

მაძიებლებმა, თუ მტერს აღმოაჩენენ, აუცილებლივ უნდა დაისონ ზედმიწევნით ან როგორმე დაინიშნონ, სად და რამდენი ნახეს ზარბაზანი, ტყვიამფრქვევი, სხვა და სხვა ყუთები, სამზარეულოები, ორთვალები და სხვა და სხვა ეტლები. რადგანაც ჯარის კაცების დათვლა მეტად ძნელია, ზარბაზნებს, ტყვიამფრქვევს და სხვა და სხვა ეტლების კი შედარებით ადვილი. უკანასკნელი ცნობებით კი ადვილია წარმოდგენა ვიქონიოთ და ხლოვებით მოწინააღმდეგის ჯარის რაოდენობაზედ. ამის გარდა. რასაკვირველია, საჭიროა მაძიებელმა ყურადღება მიაქციოს, რა დარგია ჯარისა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, თუ სად და როგორ არის მოწყობილი ტელეფონის ან ტელეგრაფის ხაზი, რა ნიშნებს აძლევს მოწინააღმდეგე სხვა და სხვა შემთხვევაში თავისიანებს. თუ ცალკე ჯარის კაცი შეხვდათ, საჭიროა მიექცეს ყურადღება, თუ როგორ არის იგი ჩაცმული, რა ნიშნები აქვს ან რით არის შეიარაღებული. თუ მოწინააღმდეგე ახლო არ უშვებს, საჭიროა გამოირკვეს რა ნაწილს წააწყდა დასი ე. ი. ტილაა ეს თუ მთავარი ძალა და სხვა. თუ მტერი მოძრაობს, საჭიროა გამოირკვეს რამდენი გზით მიდის იგი, რა ძალისა და რა მიმართულებით მიდის, თუ პოზიციას ამზადებს — საფორთოვე ფრონტისა. მომუშავეთა რიცხვი, ხასიათი გამაგრებულ პოზიციისა და სხვა.

ყოველივე ზემოხსენებულის გამორკვევაში დიდ დახმარებას გაუწევს მაძიებლებს ადგილობრივი მცხოვრები ან ტყვედ ჩავარდნილი მოწინააღმდეგე თუ ამათ მოხერხებულად დაჰკითხეს, ბევრი ცნობის შეკრება შეიძლება. რასაკვირველია, ამათი ნდობა მეტად ძნელია და ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ პირადათ დავრწმუნდეთ გაგონილში.

კიდევ ბევრი სხვა ხერხებზედაც შეგვეძლო მიგვეთითებინა, მაგრამ შორს წაგვიყვანს. ერთი შეიძლება ითქვას, **მაძიებელნი** ისე უნდა მოქმედებდნენ, რომ თვითონ **ყველას და ყველაფერს ჰხედავდნენ და მასთანვე ყველასთვის უჩინარნი იყვნენ** და თუ ეს გვესმის მაშინ შესაფერისად ვაწარმოვებთ ძიებასაც.

ვინ უნდა მოახდინოს ძიება და კიდევ რა საშუალება გვაქვს მოწინააღმდეგეს შესახებ ცნობის შესაკრებად, შემდეგ წერილში ვილაპარაკოთ.

(გაგრძელება იქნება)

ლევ. გარსიაშვილი.

ნ. დ. ს. ()   ტირაჟი 1200.   სამხედრო სტამბა   პასუხის-მგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.